თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3909759

ნომერი: AR1591246

თარიღი : 05.04.2018

გაცემის თარიღი : 12.04.2018

გაცნობის თარიღი : 19.04.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 47 , (ნაკვ. 35/4);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ეკატერინე მაქაცარია პ/ნ 19001053838
- ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ლეონიძის ქ. N2

ორგანიზაცია:

- შპს "ყაზბეგი 47" კოდი: 204538599

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- აბრებისა და რეკლამების განთავსება ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

– "განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე" ველში – საკადასტრო კოდში მიუთითეთ სარეკონსტრუქციო ფართის მთლიანი საკადასტრო კოდი, წილობრივი მონაცემებით ან „ფაილის მიმაგრების“ ველში აიტვირთოს ფართის კუთვნილების დამადასტურებელი საბუთი – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

ვინაიდან განცხადების შევსებისას არ იქნა მოწოდებული ინფორმაცია საპროექტო ფართის საკადასტრო კოდის წილობრივ მონაცემების შესახებ, გაურკვეველია საპროექტო ფართის მესაკუთრის ვინაობა. გამომდინარე აქედან გაცნობებთ, რომ არქიტექტურის სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს საპროექტო ფართის მესაკუთრემ, მოსარგებლემ ან მათმა მინდობილმა პირმა (მინდონილობა ატვირთული უნდა იყოს წარმომადგენლის მინდობილობა/რწმუნებულების ველში).

წარმოსადგენია საკადასტრო გეგმა სარეკონსტრუქციო არეალის დატანით.

მოგახსენებთ რომ ვინაიდან მოპირკეთება ხდება საკადასტროო საზღვრებს გარეთ თვითმართველი ერთეულის დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, წარმოსადგენია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა, თანდართულ დანართთან ერთად.

წარმოსადგენია არსებული სიტუაციის რამდენიმე ხედის ფიქსაციით გადაღებული ფოტოსურათები და მათ საფუძველზე დამუშავებული ფოტომონტაჟი.

ფოტომონტაჟზე დაიტანეთ წარმოსახვითი საზღვარი, საპროექტოსა და მომიჯნავე ფართებს შორის, გაითვალისწინეტ რომ სარეკლამო აბრების განტავსება შესაძლებელია მხოლოდ თქვენს საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე, აქვე მოგახსენებთ რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების, მუხლი 18, პუნქტი 10, ქვეპუნქტი ა)–ს თანახმად: განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20%–ს.
ამასთან ფოტომონტაჟზე დაიტანეთ მანძილი გრუნტის ზედაპირიდან ფასადზე მიმაგრებიული სარეკლამო აბრის ქვედა ნიშნულამდე. ამასთან გაიტვალისწინეთ შენობაზემიმაგრებულინიშნებიდააბრებიშესაძლებელიაიყოსშეჭრილისაზოგადოებრივ სივრცეში გრუნტის ზედაპირიდან 2.7 მ-ზემაღლასიმაღლეზე, მაგრამტროტუარისკიდის ვერტიკალურ წარმოსახვითი სიბრტყიდან პერპენდიკულარული მანძილიამნიშნებამდედააბრებამდე უნდა იყოს მინიმუმ 1,2 მ.

ფოტომონტაჟზე მიუთითეთ საპროექტო კარის ღიობის მასალა, მოგახსენებთ რომ ღიობის მასალად გამოყენებული უნდა იქნას ალუმინის მოჩარჩოვება.

მხოლოდ აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენის სემდგომ იქნება შესაძლებელი განაცხადის სრულყოფილად განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.